აღსანიშნავია, რომ ჩვენს ქალაქში გაიმართა „ლანჩხუთობა-2024“, სადაც წარმოდგენილი იყო არაერთი საინტერესო ღონისძიება, როგორც გურული ეთნო-კუთხე, ასევე, სხვა ღირსშესანიშნაობები. საპატიო ლანჩხუთელის წოდება მიენიჭა 8 ადამიანს. არაერთი საპატიო სტუმარი სტუმრობდა „ლანჩხუთობა-2024-ს“, რომელიც სამომავლოდ, მუნიციპალიტეტის საერთო-სახალხო დღესასწაულად გადაიქცევა.

მუნიციპალიტეტი შეუერთდა ოჯახის სიწმინდის დაცვის დღეს და ასობით ადამიანმა მიიღო მსვლელობაში მონაწილეობა.

> ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შუხუთის ადმინისტრაციულმა ერთეულმა ტრადიციულ თამაშობას „ლელოს“ უმასპინძლა, რომელიც წელს „ზემოურების“ გამარჯვებით დასრულდა.

> სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მესამედ მოეწყო თევზის ფესტივალი, რომელზეც ბევრი ტურისტი იყო ჩამოსული, მათ შორის - უცხოეთიდან.

> სოფელმა აკეთმა ტრადიციულ დოღს უმასპინძლა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

აუცილებელია აღინიშნოს საკრებულოში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს როლზე, რომელიც შექმნილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილი გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ, ვერიკო კვირკველიამ წლის ანგარიში წარმოადგინა საკრებულოს წინაშე, სადაც დეტალურად იყო საუბარი საბჭოს ინიციატივებსა თუ განხორციელებულ პროექტებზე.

საკრებულოს აპარატის მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტები



საანგარიშო პერიოდში უწყვეტ რეჟიმში ხორციელდებოდა საკრებულოს სხდომების პირდაპირი ტრანსლირება

როგორც ცნობილია, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი.
განსაკუთრებული მადლობა მინდა გამოვთქვა აპარატის თითოეული თანამშრომლის მიმართ. მათი სწორი და გუნდური მუშაობა საკრებულოს წარმატებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ეს არის ის ძირითადი საქმიანობა, რომელიც საანგარიშო პერიოდში საკრებულომ და აპარატმა გაწია. წინ კიდევ არის გამოწვევები და ძალას და ენერგიას არ დავიშურებთ, რომ უფრო მეტი სიკეთე შევქმნათ სახელისუფლებო გუნდთან ერთად ჩვენს მუნიციპალიტეტში.

გმადლობთ ყურადღებისთვის